ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ 185

ქ. ლაგოდეხი 26.10.2016წ.

ერთის მხრივ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი, წარმოდგენილი მისი გამგებლის კარლო ჯამბურიას სახით (შემდგომში "შემსყიდველი") და მეორეს მხრივ შპს „სასწორი", წარმოდგენილი მისი დირექტორის გურგენი აბრამიშვილის სახით (შემდგომში „მიმწოდებელი"), ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, საქართველოს კანონის "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის "ბ" ქვეპუნქტისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს SMP160002733 თანხმობის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ – „ხელშეკრულება") – შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3 „შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომ „შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4 „მიმწოდებელი" ნიშნავს პირს, რომელიც უზრუნველყოფს სამუშაოების გაწევას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5 „დღე", „კვირა", „თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

2. შესყიდვის ობიექტი:

2.1 პროექტის კლასიფიკატორის კოდი: 45261910.

2.2 ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2016 წლის სექტემბრის თვეში მომხდარი სტიქიის შედეგად დაზიანებული შენობების სახურავების სარეაბილიტაციო სამუშაოები დანართი №1-ის შესაბამისად.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების სავარაუდო ჯამური ღირებულება შეადგენს 74827.14 /სამოცდათოთხმეტი ათას რვაას ოცდაშვიდი ლარი და თოთხმეტი თეთრი/ ლარს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის ჩათვლით.

4. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

4.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე და მოახდინოს სამუშაოების ხარისხის პერიოდული ინსპექტირება.

4.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.

4.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

4.4 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ინსპექტირების ჯგუფი.

5. სამუშაოს გაწევის პირობები და ვადები

5.1 სამუშაოს გაწევა ხორციელდება ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად, რომელიც თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

5.2 ხელშეკრულების თანდართული ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული შემსყიდველის საკუთრებაში

არსებული სამშენებლო მასალები, კერძოდ პროფნასტილი, მოთუთიებული ნაგლინი და ხე-მასალა მიმწოდებელს გადაეცემა სამუშაოების შესრულების პროცესში.

5.3 მხარეები თანხმდებიან, რომ ამ მუხლის 5.2 პუნქტით განსაზღვრული სამშენებლო მასალების მოცულობების დაზუსტება მოხდება სამუშაოების დასრულების შემდეგ.

5.4 სამუშაოების მიწოდების ვადა – ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 კალენდარული დღე.

6. სტანდარტები და ხარისხი

6.1. ხელშეკრულების ფარგლებში შესასრულებელი სამუშაოები უნდა შესრულდეს ჯეროვნად, საპროექტო დოკუმენტაციის, ტექნიკური პირობების, მოქმედი სამშენებლო ნორმების და წესების, მსგავსი სამუშაოებისათვის უკვე არსებული სტანდარტებისა და შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნების შესაბამისად.

6.2 6.1 პუნქტში აღნიშნული წესებიდან და ნორმებიდან ნებისმიერი გადახვევის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია არ მიიღოს სამუშაო ან/და მიმწოდებლის მიმართ გამოიყენოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობების ზომები.

7. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

7.1 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება ეტაპობრივად, შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით.

7.2 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველს წარმოადგენს ინსპექტირების (ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე პასუხისმგებელი) ჯგუფის დასკვნა და მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ანგარიშები (შესრულებული სამუშაოების შესახებ).

7.3 იმ შემთხვევაში, თუ შესრულებული სამუშაო ან მისი ნაწილი არ აკმაყოფილებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, შემსყიდველი ან/და მისი უფლებამოსილი პირი აცნობებს მიმწოდებელს შემოწმების შედეგებს დაწუნებული სამუშაოს მოცულობისა და წუნდების მიზეზების მითითებით. შემსყიდველი უფლებამოსილია, საკუთარი შეხედულებისამებრ განუსაზღვროს მიმწოდებელს გონივრული ვადა დაწუნებული სამუშაოს გამოსწორების მიზნით. აღნიშნული ვადის დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება ხელშეკრულების 13.3 პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლო, შემსყიდველის მიერ განსაზღვრული გონივრული ვადის ბოლო თარიღიდან დეფექტების საბოლოო აღმოფხვრამდე.

7.4 საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველს წარმოადგენს დამოუკიდებელი ექსპერტიზის დასკვნა, რომლის წარმოდგენასაც საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი, სამუშაოების ფაქტიური დამთავრებიდან არაუგვიანეს 30 კალენდარული დღის განმავლობაში.

7.5 საინჟინრო ექსპერტიზის ჩამტარებელი ორგანიზაციის შერჩევა ხდება შემსყიდველთან შეთანხმებით.

7.6 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს სამუშაოს შესრულების შესაბამისი საანგარიშსწორებო დოკუმენტი.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1. შემსყიდველი ვალდებულია:

8.1.1. დროულად და კეთილსინდისერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება;

8.1.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულებისას საქმის კურსში ჩააყენოს მიმწოდებელი ყველა განსაკუთრებული გარემოების წარმოშობის შესახებ;

8.1.3. ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად აუნაზღაუროს მიმწოდებელს შესრულებული სამუშაოს ღირებულება;

8.1.4. წერილობითი ფორმით დაუყოვნებლივ აცნობოს მიმწოდებელს რაიმე დეფექტის ან ნაკლის აღმოჩენის შესახებ.

8.2. შემსყიდველს უფლება აქვს:

8.2.1. განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე;

8.2.2. ხელი მოაწეროს სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტებს;

8.2.3. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შეაჩეროს ან შეწყვიტოს დადებული ხელშეკრულების მოქმედება, თუ მიმწოდებელი არღვევს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს.

8.3. მიმწოდებელი ვალდებულია:

8.3.1. დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;

8.3.2. უზრუნველყოს სამუშაოთა მაღალი ხარისხით შესრულება და მათი დამთავრება დადგენილ ვადებში;

8.3.3. სამუშაოების შესრულების პროცესში შეტყობინების მიღებისთანავე აღმოფხვრის უხარისხოდ შესრულებული სამუშაო შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებით დანახარჯების გაწევის გარეშე.

8.3.4. სამუშაოების შესასრულებლად აუცილებელი მასალები აღჭურვილობა და მექანიზმების მიწოდება უზრუნველყოფილი უნდა იქნას მიმწოდებლის მიერ საკუთარი შესაძლებლობებით და რესურსებით და მიმწოდებელი პასუხისმგებელი უნდა იყოს აღნიშნული მასალების აღჭურვილობის და მექანიზმების უსაფრთხოებაზე;

8.3.5. მიმწოდებელმა სამუშაოების განხორციელების განმავლობაში უნდა მიიღოს აუცილებელი ზომები ტექნიკური უსაფრთხოების და გარემოს დაცვის უზრუნველსაყოფად.

8.4. მიმწოდებელს უფლება აქვს

8.4.1. მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად შესრულებული სამუშაოების ღირებულების ანაზღაურება;

9. ანგარიშსწორება

9.1 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარებში, ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს შესაბამისად, წარმოდგენილი შუალედური მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, მოთხოვნიდან 10(ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

9.2 შესაბამისი თანხის საბანკო გარანტიის წარმოდგენის შემთხვევაში შესაძლებელია წინასწარი /საავანსო/ ანგარიშსწორება სახელშეკრულებო ღირებულების 30 %-ის ოდენობით.

9.3 საბოლოო ანგარიშსწორება განხორციელდება ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს მოცულობისა და ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის საფუძველზე, რომელიც გაცემული უნდა იყოს დამოუკიდებელი ექსპერტის მიერ. დასკვნის წარმოდგენის ვალდებულება ეკისრება მიმწოდებელს. შემსყიდველი უფლებამოსილია ექსპერტიზის დასკვნისს წარმოდგენამდე შესრულებულ სამუშაოზე შეაჩეროს საბოლოო ანგარიშსწორება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ის ოდენობით.

10. ფასები

10.1 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში დაუშვებელია.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

11.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

12. გარანტია

12.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას 2(ორი) წლის განმავლობაში შესრულებული სამუშაოს სრულფასოვან ფუნქციონირებაზე, გარდა მექანიკური დაზიანებისა.

12.2 მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებისთანავე გონივრულ ვადაში განახორციელოს უხარისხოდ შესრულებული სამუშაოს ან მისი ნაწილის გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე.

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

(საჯარიმო სანქციები, ფორმა, ოდენობა და გადახდის ვადები)

13.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები.

13.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.5%-ის ოდენობით.

13.3 დაწუნებული სამუშაოების წერილობითი განსაზღვრული ხარვეზის აღმოფხვრის გონივრული ვადის დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

13.4 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.5 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწვიტოს

ხელშეკრულება.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

14.1 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში შესმყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

14.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

14.3 ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

14.4 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა)თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი- ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ)მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

გ)საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

14.5 ამ მუხლის მე-6 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს ღირებულება.

14.6 შემსყიდველი უფლებამოსილია მთლიანად ან ნაწილობრივ ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება, თუკი მიმწოდებლის მხრიდან შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადების დარღვევის პერიოდი აღემატება 15 კალენდარულ დღეს.

15. ფორს-მაჟორი

15.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

15.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბაჟო ტარიფების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

15.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

16. სადაო საკითხების გადაწყვეტა

16.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

16.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულების პირობებში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

17. გამოყენებული სამართალი

17.1 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

18. ხელშეკრულების ენა

18.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე.

19. შეტყობინებები

19.1 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

19.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

20. გადასახადები და დაბეგვრა

20.1 მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, თუ ხელშეკრულების პირობებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

21. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

21.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2016 წლის 30 დეკემბრის ჩათვლით, გარდა ხელშეკრულების 12.1 და 12.2 პუნქტებისა.

22. სხვა პირობები

22.1 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

22.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

22.3 ხელშეკრულება შედგენილია სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ორი ეგზემპლარი ინახება შემსყიდველთან ხოლო ერთი - მიმწოდებელთან.

22.4. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

22.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

შემსყიდველი

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი

საიდ.კოდი: 23314498 7

ლაგოდეხი, 26 მაისის ქ.№25

ს.ს. „ლიბერთი ბანკის" ლაგოდეხის ფილიალი

ბანკის კოდი: LBRTGE 22

ანგ. №GE37LB0120118067888000

კარლო ჯამბურია

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგებელი

მიმწოდებელი

შ.პ.ს. „სასწორი"

საიდ. კოდი: 433101010

ქ. ლაგოდეხი, დუმბაძის ქ. №12

ს.ს. „ლიბერთი ბანკის" ლაგოდეხის ფილიალი

ბანკის კოდი: LBRTGE 22

ანგ. №GE24LB0113125053162000

გურგენი აბრამიშვილი

შ.პ.ს. „სასწორი"-ს დირექტორი

ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი და ხელშეკრულების გაფორმებაზე უფლებამოსილი პირი ვადასტურებთ, რომ ჩვენი მონაწილეობა საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2016 წლის სექტემბრის თვეში მომხდარი სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების ფარგლებში, 2016 წლის 25 ოქტომბერს გაფორმებული N185 ხელშეკრულებით გათვალისწინებული დაზიანებული შენობების სახურავების სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებულ საქმიანობაში არ ეწინააღმდეგება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე-8 მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის
გამგებელი: კარლო ჯამბურია

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის
გამგებლის პირველი მოადგილე: გიორგი ბოკერია

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის
გამგებლის მოადგილე: იოსებ ტყემალაძე

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის
გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო,
ჯანდაცვისა და სოციალურ
საკითხთა სამსახურის უფროსი: გიორგი მანგოშვილი

შესყიდვების განყოფილების უფროსი: ვალერიან კვიჟინაძე

26.10.2016წ